ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებაში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

საპროცენტო ხარჯები

კომპანია აღიარებს საპროცენტო ხარჯებს იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშობა, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად. ხარჯები წარმოიქმნება სესხებზე და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის სახით და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც ფინანსური ხარჯები.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, პროცენტის გადახდა ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საოპერაციო ფულად ნაკადებში, რაც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს და გამოიყენება თანმიმდევრულად ყოველი ანგარიშგების პერიოდში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციაზე გამოსაცემად.

3. კრიტიკული შეფასებები და სააღრიცხვო პროგნოზები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახორციელებს პროგნოზებსა და შეფასებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური გაუფასურება, ხშირად იწვევენ აქტივებში ჩადებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკურ მოვლასა და შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური გაუფასურება.

საეჭვო ვალდებულების რეზერვი

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამავდროულად რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან

საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

4. წინა პერიოდის ფინანსური ინფორმაციის შესწორება

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, კომპანიამ გადახედა 2022 წლის ფინანსურ მონაცემებს და განახორციელა კლასიფიკაციის ცვლილებები, რაც არ შეეხო კომპანიის ფინანსურ შედეგს ან ფინანსურ მდგომარეობას. ცვლილებები განხორციელდა მხოლოდ შედარებითი ინფორმაციის დონეზე, და მიზნად ისახავდა ანგარიშგების წარდგენის უფრო ზუსტ და სრულყოფილ წარმოდგენას.

ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს კომპანიის საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის უფრო სწორად და შინაარსობრივად წარდგენას.

ცვლილებების ძირითადი მიმართულებები იყო:

- ხარჯების კლასიფიკაციის დეტალური ანალიზის საფუძველზე ზოგიერთი საწარმოო ხარჯი (მომუშავე პერსონალის ხარჯი, კომუნალური მომსახურების ხარჯები, შემენილი მომსახურების ხარჯი), რომელიც თავდაპირველად ასახული იყო ადმინისტრაციულ ხარჯებში, გადატანილია გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში, ვინაიდან ეს ხარჯები მენეჯმენტის შეფასებით უშუალოდ უკავშირდება წარმოების პროცესს და არა ადმინისტრაციულ დანახარჯებს;
- იჯარისა და როიალტის შემოსავლების კლასიფიკაციას, რომლებიც აქამდე აღრიცხული იყო ფინანსურ შემოსავალში. მენეჯმენტის განხილვის შედეგად, დადგინდა, რომ აღნიშნული შემოსავლები უფრო ზუსტად ასახავს კომპანიის საოპერაციო საქმიანობას, მათი რეგულარული და ოპერაციულ საქმიანობასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ბუნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, აღნიშნული შემოსავლები ფინანსური შემოსავლების კატეგორიიდან კლასიფიცირდა როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი;
- კომპანიამ გადახედა საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის პრაქტიკას. წარსულში აღნიშნული ხარჯები ასახული იყო არასაოპერაციო ხარჯების კატეგორიაში.

გადახედვის შედეგად, მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული ხარჯები წარმოექმნება კომპანიას ჩვეულ ოპერაციულ საქმიანობასთან უშუალო კავშირში და წარმოადგენს მიმდინარე სავაჭრო საქმიანობის ერთ-ერთ კომპონენტს. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი კლასიფიცირდა როგორც ადმინისტრაციული ხარჯები.

ცვლილებების ფინანსური ეფექტი 2022 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია ქვემოთ:

მუხლი	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(17,215)	(680)	(17,895)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	741	741
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,041)	610	(1,431)
არასაოპერაციო შემოსავალი	337	70	407
ფინანსური შემოსავალი	6,777	(741)	6,036

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა წმინდა ფინანსურ შედეგზე – კომპანიის 2022 წლის მოგება-ზარალი დარჩა უცვლელი.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა ანგარიშგების პრეზენტაციის გაუმჯობესების მიზნით და არ საჭიროებს წინა პერიოდის აუდიტორული დასკვნის გადახედვას, რადგან არ უკავშირდება აღიარების, შეფასების ან მონეტარული უზუსტობის გამოსწორებას.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრე ბელი შენებლობა	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილ ობა და ინვენტარი	სატრანს პორტო საშუალებ ები	სულ
31.12.2021	188	3,034	3,004	8,695	314	42	15,277
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	10	64	72	18	-	164
31.12.2022	188	3,044	3,068	8,767	332	42	15,441
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	5	331	276	19	-	631
დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31.12.2023	188	3,049	3,399	9,043	351	42	16,072

ცვეთა და გაუფასურება

31.12.2021	-	(494)	-	(1,557)	(95)	(27)	(2,173)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(51)	-	(362)	(20)	(2)	(435)
31.12.2022	-	(545)	-	(1,919)	(115)	(29)	(2,608)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(58)	-	(431)	(26)	(1)	(516)
დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში	-	-	-	-	-	-	-
31.12.2023	-	(603)	-	(2,350)	(141)	(30)	(3,124)

საბალანსო ღირებულება

31.12.2022	188	2,499	3,068	6,848	216	13	12,832
31.12.2023	188	2,446	3,399	6,693	210	12	12,948

კომპანიის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა ძირითადი საშუალებების კლასიფიკაციის შიდა გადახედვა, მათი ფუნქციური დანიშნულებისა და გამოყენების მიზნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს მხოლოდ შიდა სტრუქტურულ რეკლასიფიკაციას და არ ახდენს ზეგავლენას აქტივების ჯამურ ღირებულებაზე, დაგროვილ ცვეთაზე ან სხვა აღრიცხვით მაჩვენებლებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საკუთრებაში არსებული გარკვეული ძირითადი საშუალებები, მათ შორის მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, საწარმოო დანადგარები და ტექნიკური მოწყობილობები გამოყენებულია კრედიტორის სასარგებლოდ სესხის უზრუნველყოფის მიზნით და დატვირთულია გირავნობით.

დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ დატვირთულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების შენიშვნა №11.

6. მარაგები

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალა	2,065	2,046
სპირტები	5,640	4,578
ღვინო	2,679	3,360
სხვა მარაგი	69	59
მზა პროდუქცია	118	80
დაუმთავრებელი წარმოება	-	5
სულ:	10,571	10,128

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	12,487	10,760
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(1,492)	(34)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	37	15
სასესხო მოთხოვნები	402	420
მისაღები პროცენტები	545	360
სულ:	11,979	11,521

8. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ბალანსში ნეტო პრინციპით. ეს განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთიანი საგადასახადო ანგარიშის მექანიზმით, რომელიც მოქმედებს 2016 წლიდან და ითვალისწინებს გადასახადების კონსოლიდირებულ გადახდასა და აღრიცხვას ერთიან საგადასახადო კოდექსში.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	4	18
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1	52
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	16	107
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	250	119
სულ:	271	296

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,297	5,224
გადასახდელი დაქირავებულთა გასამრჯელოები	82	64
სულ:	4,379	5,288

11. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

დასახელება	დასრულების თარიღი	% განაკვეთი	ვალუტა	31.12.2023	31.12.2022
სს საქართველოს ბანკი #1	14.08.2023	6.00%	GEL	-	385
სს საქართველოს ბანკი #2	10.12.2027	15.50%	GEL	2,823	3,262
სს საქართველოს ბანკი #3	10.12.2027	13.48%	USD	277	348
სს საქართველოს ბანკი #4	10.12.2027	13.48%	USD	2,720	3,161
სს საქართველოს ბანკი #5	10.12.2027	13.48%	USD	607	734
სს საქართველოს ბანკი #6	10.12.2027	13.48%	USD	417	491
სს საქართველოს ბანკი #7	10.12.2027	13.48%	USD	4,179	4,446
სს საქართველოს ბანკი #8	27.06.2025	10.50%	USD	660	-
სულ:				11,683	12,827

შენიშვნები:

- ცხრილში წარმოდგენილი ყველა სესხის თანხა ცხრილში წარმოდგენილია ლარის ეკვივალენტში, შესაბამისი თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
- მიმდინარე სასესხო ვალდებულებებში (გადასახდელი პროცენტების ჩათვლით) ასევე შედის თანხა, რომელიც აღებულია დაკავშირებული მხარეებისგან (ჯამურად: 4,136 ათასი ლარი) საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში №22 – ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.
- სესხები გაცემულია ლარსა და აშშ დოლარში. ყველა სავალუტო სესხი არის ცვალებად საპროცენტო განაკვეთში და დარიცხული პროცენტი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთსა და ბანკის მარჟის ჯამით. 2023 წლის განმავლობაში დოლარში ნომინირებულ სესხებზე გამოყენებული იყო არანაკლებ 13.48% საპროცენტო განაკვეთი.

სესხის უზრუნველყოფა:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონებით.

უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს:

- უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა, რომელთა ღირებულება ბანკის შეფასებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 7,304 ათას ლარს;
- მოძრავი ქონება – საწარმოო დანადგარები და მოწყობილობები, რომელთა ღირებულება ბანკის შეფასებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 3,545 ათას ლარს.

აღნიშნული აქტივები დატვირთულია გირავნობით და უზრუნველყოფენ კომპანიის ვალდებულებებს აღნიშნული კრედიტორის წინაშე.

12. ფინანსური იჯარის გრძელვადიანი და მიმდინარე ვალდებულებები

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა ფინანსური იჯარის ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ხუთწლიანი იჯარის ხელშეკრულებებით მიღებულ დანადგარებთან. აღნიშნული დანადგარების სასარგებლო მომსახურების ვადა ოცი წელია.

საიჯარო გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ იჯარის ხელშეკრულებებთან, გადანაწილებულია შემდეგი პერიოდებით (ათასი ლარით), ვალდებულება კლასიფიცირებულია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებად:

პერიოდი	31.12.2023	31.12.2022
1 წელზე ნაკლები	-	331
1-დან 5 წლის ჩათვლით	-	92
სულ:	-	423

2023 წლის განმავლობაში აღნიშნული ვალდებულებები სრულად დაფარული იქნა, რის შედეგადაც ლიზინგის ხელშეკრულებები შეწყდა და აქტივები საბოლოოდ გადაეცა კომპანიის საკუთრებაში.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები დაფარული იქნა ახალი გრძელვადიანი სესხის საშუალებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარის ვალდებულებები, ხოლო აქტივები აღიარებულია როგორც საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები.

ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია ფინანსური ხარჯის განმარტებით შენიშვნაში №19.

13. ამონაგები

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
კონიაკი ბოთლში	2,828	2,681
ღვინო	4,302	430
სპირტი	16,493	14,698
ღვინო ბოთლში	2,840	481
ნედლეულის რეალიზაცია (მაკომპლექტებლები)	1,046	2,015
სულ:	27,509	20,305

14. სხვა საოპერაციო შემოსავალი

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022*
შემოსავალი იჯარიდან	1,036	733
შემოსავალი როიალტიდან	2	8
სულ:	1,038	741

*შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია კლასიფიკაციის ცვლილებების გათვალისწინებით (იხილეთ შენიშვნა №4).

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022*
ნედლეულის ხარჯი	(19,696)	(16,368)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(491)	(357)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(241)	(224)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(652)	(508)
შემენილი მომსახურების ხარჯი	(92)	(92)
წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი	(506)	(346)
სულ:	(21,678)	(17,895)

*შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია კლასიფიკაციის ცვლილებების გათვალისწინებით (იხილეთ შენიშვნა №4).

16. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(3,067)	(2,306)
რეკლამის ხარჯი	(14)	(16)
სულ:	(3,081)	(2,322)

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დასახელება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022*
საბანკო ხარჯი	(135)	(172)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(761)	(586)
სამეურნეო ხარჯები	(106)	(97)
შემენილი მომსახურების ხარჯი	(141)	(195)
ცვეთა და ამორტიზაცია	(41)	(83)
დაზღვევა	(25)	(38)
იჯარის ხარჯი	(27)	(19)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(16)	(15)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(1,410)	(70)
სხვა	(291)	(156)
სულ :	(2,953)	(1,431)

*შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია კლასიფიკაციის ცვლილებების გათვალისწინებით (იხილეთ შენიშვნა №4).

18. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენს 207 ათას ლარს (2022 წელი*: 407 ათასი ლარი). აღნიშნული შემოსავლიდან 16 ათასი ლარი წარმოადგენს თანადაფინანსების თანხას, რომელიც მიღებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან.

კომპანია სარგებლობს შეღავათიანი სესხით „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სს საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ღვინის საწარმოს მშენებლობას და 2019-2023 წლებში სეზონურად ყურძნის მიღებას.

**შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია კლასიფიკაციის ცვლილებების გათვალისწინებით (იხილეთ შენიშვნა №4).*

19. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022*
საპროცენტო შემოსავალი	185	-
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი	2,511	6,036
სულ ფინანსური შემოსავალი:	2,696	6,036
ფინანსური ხარჯი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საპროცენტო ხარჯი	(1,955)	(1,681)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი	(2,585)	(6,040)
ფინანსური იჯარა	(100)	(33)
სულ ფინანსური ხარჯი:	(4,640)	(7,754)

**შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია კლასიფიკაციის ცვლილებების გათვალისწინებით (იხილეთ შენიშვნა №4).*

2022-2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცვლილი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი/მოგება წარმოდგენილია ურთიერთგადაფარვით.

20. დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება ვალდებულებად და იწვევს მფლობელთა კაპიტალის შემცირებას მათი გამოცხადებისა და დამტკიცების მომენტი. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

ბანკის სესხის ხელშეკრულების პირობის მიხედვით, დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხის დარჩენილ ნაშთზე ნაკლებ სიდიდემდე.

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში პარტნიორთა კრებას დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია, შესაბამისად დივიდენდი არც გამოცხადებულა და არც გაცემულა.

21. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ

დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები:		
ოპერაციის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	999	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	4
შრომის ანაზღაურება	15	16
მოკლევადიანი სესხები	3,720	-
გადასახდელი პროცენტები	416	192
სულ ბალანსური ნაშთები:	5,167	212
ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია და სხვა ხარჯები:		
ოპერაციის ტიპი	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,107	696
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	137	212
მოკლევადიანი სესხები	6,841	801
შრომის ანაზღაურება	63	116
სულ ოპერაციები:	12,148	1,825

23. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ივნისს.

ბალანსის თარიღის შემდეგ არ დაფიქსირებულა ისეთი მაკორექტირებელი მოვლენა, რომელმაც შესაძლოა არსებითად შეცვალოს 2023 წლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

2024 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი, რომელიც ეხებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობას. აღნიშნული აქტები დაკავშირებული იყო დაახლოებით 1,442 ათასი ლარის ოდენობით დაკისრებულ საგადასახადო სანქციასთან, რომელიც წარმოიშვა 2022 წელს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული გეგმური საგადასახადო შემოწმების შედეგად.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სანქცია არ ეფუძნება საკმარის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, კომპანია აგრძელებს სამართლებრივი პროცედურების გატარებას კანონით დადგენილი წესით, რათა გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული ფაქტი არ განიხილება მაკორექტირებელ მოვლენად 2023 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია ბალანსის თარიღის შემდეგ და არ ცვლის იმ გარემოებებს, რომლებიც არსებობდა 2023 წლის 31 დეკემბერს. ამდენად, არ არსებობს საფუძველი ვალდებულების აღიარებისთვის ან რეზერვის შექმნისთვის აღნიშნულ პერიოდში.



ABF

შპს „ეი-ბი-ეფ“ (ს/კ 204 553 394)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

ამ თარიღით დასრულებული წლისთვის

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის საქმიანობის აღწერა, სტრატეგია და მიზანი

შპს „ეი-ბი-ეფ“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2008 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების, ძირითადად კონიაკისა და საკონიაკე სპირტის წარმოება და რეალიზაცია. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახდენს, როგორც საქართველოს შიდა ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. 2023 წლის მონაცემებით მისი შემოსავლის 80% მოდიოდა ექსპორტზე და პროდუქცია წარმოდგენილი იყო უკრაინის, ბელორუსიის, გერმანიის, ჩინეთის, ესტონეთის, ყაზახეთის, ლატვიის, იტალიის, პოლონეთის ბაზრებზე. კომპანია ფლობს თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ საწარმოს სოფელ მარტყოფში.

შპს „ეი-ბი-ეფ“ უზრუნველყოფს წარმოების სრულ ციკლს, ყურძნის ჩაბარებით დაწყებული, ღვინომასალის გამოხდას, საკონიაკე სპირტის დაძველებას, სპირტების კუპაჟირებას, კონიაკის წარმოებისა და ბოთლში ჩამოსხმით დასრულებული.

რამდენიმე ჰექტრის კეთილმოწყობილ ფართობზე განლაგებულია ღვინომასალების მიმღები, სახდელი და საბრენდე სპირტის საძველე საამქროები, საკუპაჟე რეზერვუარები და წყლის დასამუშავებელი კვანძი, სამაცივრე და ჩამოსხმელი საამქროები. საწარმოს ასევე გააჩნია საკუთარი სარკინიგზო ჩიხი და დაცლა-დატვირთვის ავტომატიზებული სისტემა.

სტრატეგიულად, კომპანია ორიენტირებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ბაზრების დივერსიფიკაციაზე და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდაზე. წარმოების სრული ციკლის უზრუნველყოფა კომპანიის შიდა რესურსებით წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კონკურენტულ უპირატესობას.

2. კომპანიის მმართველი პირები და საწესდებო სტრუქტურა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ გიორგი შანიძე (33.33%), იოსებ იმნაძე (33.335%), იოანე დავითაშვილი, ლიზი დავითაშვილი და გიორგი დავითაშვილი.

დასკვნის გამოქვეყნებამდე შპს „ეი-ბი-ეფ“-ის მმართველ სტრუქტურასა და სამართლებრივი მესაკუთრეების შემადგენლობაში დაფიქსირდა შემდეგი ცვლილებები, რაც ასახულია საჯარო რეესტრის მონაცემებში:

- 2024 წლის 20 ივნისიდან კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მიხეილ ბრეგვაძის (პ/ნ 01008007110) ნაცვლად დაინიშნა იოსებ იმნაძე (პ/ნ 01008001903). მიხეილ ბრეგვაძე ამავდროულად დაინიშნა დირექტორის მოადგილედ, რის შედეგადაც ის კვლავ აქტიურად მონაწილეობს კომპანიის ოპერაციული და სტრატეგიული მართვის პროცესებში.
- ასევე განხორციელდა ცვლილება კომპანიის პარტნიორთა შემადგენლობაში, თუმცა ეს ცვლილება არ შეხება ბენეფიციარი მესაკუთრეებს, შესაბამისად, კომპანიის რეალური კონტროლის სტრუქტურა უცვლელი დარჩა და მმართველობითი გარემო კვლავ სტაბილურია.

აღნიშნულ ცვლილებებს არ ჰქონია გავლენა 2023 წლის სააღრიცხვო პერიოდის ფინანსურ მაჩვენებლებზე და ისინი არ აყენებენ ეჭვქვეშ კომპანიის უწყვეტობის პრინციპს.

3. ფინანსური მიმოხილვა – 2023 წელი

2023 წელს შპს „ეი-ბი-ეფ“-მა აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი ფინანსური მაჩვენებლების დონეზე, რაც ძირითადად განპირობებული იყო რეალიზაციის ზრდით საექსპორტო ბაზრებზე.

შემოსავალი გაიზარდა 35.5%-ით და შეადგინა 27.5 მლნ ლარი (2022: 20.3 მლნ ლარი), რაც მნიშვნელოვნად ასახავს კომპანიაში არსებული კომერციული სტრატეგიის წარმატებას. ეს ზრდა მიღწეულია პროდუქციის გეოგრაფიული დივერსიფიკაციითა და ახალი ბაზრების ათვისებით.

საერთო მოგება 142%-ით გაიზარდა და შეადგინა 5.8 მლნ ლარი (2022: 2.4 მლნ ლარი), რაც მიუთითებს შესყიდვების კონტროლისა და წარმოების ოპტიმიზაციის შედეგად მომატებულ მარჟაზე.

საოპერაციო მოგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დადებითი გახდა – 835 ათასი ლარი (2022: ზარალი 602 ათასი ლარი). ეს მიუთითებს კომპანიაში დანახარჯების სტრუქტურის გაუმჯობესებას და უფრო გამართული ოპერაციული პროცესების დანერგვას.

წმინდა ზარალი შემცირდა და კომპანიის შედეგები დადებითი ტენდენციისკენ იხრება 53%-ით და 2023 წელს შეადგინა -914 ათასი ლარი (2022: -1.95 მლნ ლარი). მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგი კვლავ უარყოფითია, ტენდენცია მიუთითებს ფინანსური პოზიციის სტაბილიზაციის მიმართულებით წინსვლაზე.

აქტივების მოცულობა გაიზარდა 2.5%-ით და შეადგინა 36.2 მლნ ლარი (2022: 35.3 მლნ ლარი), რაც დაკავშირებულია როგორც საწარმოო რესურსების ზრდასთან, ასევე გადავადებულ ვალდებულებებთან.

საერთო ვალდებულებები 2023 წელს გაიზარდა 9.5%-ით და შეადგინა 20.6 მლნ ლარი (2022: 18.8 მლნ ლარი). ზრდა ძირითადად განპირობებულია სასესხო რესურსების ზრდით და მიღებული ავანსების მკვეთრი მატებით. ამავდროულად, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და იჯარის ვალდებულებები შემცირდა. კომპანიის ვალდებულებათა სტრუქტურა მიუთითებს ლიკვიდობის მართვის ფრთხილ სტრატეგიაზე, რომელიც დაფუძნებულია საბანკო რესურსებზე წვდომასა და ფინანსური მოქნილობის შენარჩუნებაზე.

ძირითადი ფინანსური ტენდენციები

- გაყიდვების 35%-იანი ზრდა მიუთითებს კომპანიის ბაზრის პოზიციების გაძლიერებასა და საექსპორტო გეოგრაფიის დივერსიფიკაციის წარმატებულ შედეგებზე;
 - საოპერაციო ზარალის მოგებად გარდაქმნა ასახავს წარმოებისა და ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესებას;
 - ფინანსური და სავალუტო ხარჯების დინამიკა კვლავ წარმოადგენს გამოწვევას, თუმცა მენეჯმენტი ახორციელებს მათ აქტიურ მონიტორინგსა და მართვას;
 - ყურადღება სჭირდება სასესხო ბერკეტს, რაც მოითხოვს ფინანსური სტაბილურობის მუდმივ შეფასებასა და რესურსების სტრუქტურირებულ დაგეგმვას, განსაკუთრებით ოპერაციული ნაკადების ოპტიმალური მართვის უზრუნველყოფის ფონზე.
-

4. ძირითადი მიღწევები და გამოწვევები

მიღწევები:

- საექსპორტო შესაძლებლობების ზრდის ტენდენცია: 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ წარმატებით განახორციელა ექსპორტი ორ ახალ გეოგრაფიულ ბაზარზე — შვედეთსა და ისრაელში. ეს წარმოადგენს კომპანიის საგარეო სტრატეგიის მნიშვნელოვან ეტაპს და ზრდის შესაძლებლობას საერთაშორისო ბაზრებზე.
- წარმოების პროცესების გაუმჯობესება: განახორციელა წარმოების პროცედურების დახვეწა და გააუმჯობესა პროცესების ავტომატიზაცია, რაც ხელს უწყობს ოპერაციული ეფექტიანობის ამაღლებას და ხარჯების ოპტიმიზაციას.
- პროდუქციის განვითარების გაგრძელება: დაწყებულია ახალი პროდუქციის ხაზის ტესტირება, რაც მენეჯმენტის გრძელვადიან სტრატეგიასთან თანხვედრაშია და მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე უფრო მოქნილ რეაგირებას.

გამოწვევები:

- გარე ეკონომიკური გარემოს გავლენა: გლობალურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესებმა — მათ შორის ტრანსპორტირებისა და შესყიდვების ხარჯების ზრდის ტენდენციამ — ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიის საქმიანობაზე გავლენა მოახდინა, რაც საჭიროებს დამატებით დაგეგმვასა და რისკების მართვას.
- დისტრიბუციისა და საწყობის ოპერაციების ოპტიმიზაცია: შემდგომი განვითარებისა და ხარჯების უკეთესი კონტროლის მიზნით, მენეჯმენტი აფასებს საწყობებისა და ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციის შესაძლებლობებს.

- ვალუტის კურსის მოძრაობის სენსიტიურობა: კომპანიისათვის მნიშვნელოვანია ბაზრის მონიტორინგი და კურსთან დაკავშირებული რისკების მართვა, განსაკუთრებით საერთაშორისო ოპერაციების ზრდის ფონზე.

6. რისკები და რისკების მართვის მიდგომები

რისკი	შეფასება	მართვის მიდგომა
სავალუტო რისკი	მაღალი	კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ექსპორტს, ამიტომ სავალუტო რისკი მისთვის მნიშვნელოვანია. მენეჯმენტი თვალყურს ადევნებს ბაზარზე არსებულ ცვლილებებს და იღებს გადაწყვეტილებებს ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში.
საკრედიტო რისკი	საშუალო	გაყიდვებისას, განსაკუთრებით საექსპორტო ბაზრებზე, მენეჯმენტი აფასებს კონტრაგენტთა სანდოობას წარსული გამოცდილებისა და საკრედიტო პირობების გათვალისწინებით.
ლიკვიდობის რისკი	დაბალი	მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება ფულადი სახსრების მოძრაობას და აფასებს საკმარისი რესურსების არსებობას მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.
საოპერაციო რისკი	საშუალო	შიდა პროცესების უწყვეტი მონიტორინგით კომპანია ცდილობს პროცესების ავტომატიზაციის და დოკუმენტირებული კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას.

7. სამომავლო გეგმები და სტრატეგია

2024 წელს შპს „ეი-ბი-ეფ“ ფოკუსირებული იქნება პოზიციის შემდგომი გაძლიერებაზე ქართულ და საერთაშორისო ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე. კომპანიის ძირითადი პრიორიტეტი არის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და სტაბილური ზრდის მოპოვება მრავალფეროვან ბაზრებზე.

კომპანიის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

ბაზრის გაფართოება და დივერსიფიკაცია: შევინარჩუნებთ და გავაძლიერებთ პოზიციებს არსებულ ბაზრებზე, ამავდროულად აქტიურად ვეძებთ შესაძლებლობებს ახალი გეოგრაფიული სეგმენტების ათვისებისთვის. ასევე, ოპერაციული ეფექტურობა: ვგეგმავთ წარმოების, ლოგისტიკისა და მოტივაციის

პროცესების ოპტიმიზაციას, რაც უზრუნველყოფს რესურსების მაღალეფექტურ გამოყენებას და ხარჯების შემცირებას.

„ეი-ბი-ეფ“-ის ხელმძღვანელობა აქტიურად აკვირდება ბაზრის ცვლილებებს და ეკონომიკურ ტენდენციებს, რათა დროულად მოახდინოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ადაპტაცია და უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის მდგრადი განვითარება მომდევნო წლებში.

8. მენეჯმენტის განცხადება

კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტად ასახავს კომპანიის საქმიანობას, ფინანსურ მდგომარეობასა და სტრატეგიულ მიმართულებებს 2023 წლის განმავლობაში. მენეჯმენტი აცხადებს, რომ ანგარიში მომზადებულია ობიექტურად და პროფესიული განსჯის საფუძველზე.

დამტკიცებულია:

იოსებ იმნაძე

დირექტორი

თარიღი: 24.06.2025 წ.

პროცესების ოპტიმიზაციას, რაც უზრუნველყოფს რესურსების მაღალეფექტურ გამოყენებას და ხარჯების შემცირებას.

„ეი-ბი-ეფ“-ის ხელმძღვანელობა აქტიურად აკვირდება ბაზრის ცვლილებებს და ეკონომიკურ ტენდენციებს, რათა დროულად მოახდინოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ადაპტაცია და უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის მდგრადი განვითარება მომდევნო წლებში.


8. მენეჯმენტის განცხადება

კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტად ასახავს კომპანიის საქმიანობას, ფინანსურ მდგომარეობასა და სტრატეგიულ მიმართულებებს 2023 წლის განმავლობაში. მენეჯმენტი აცხადებს, რომ ანგარიში მომზადებულია ობიექტურად და პროფესიული განსჯის საფუძველზე.

დამტკიცებულია:

იოსებ იმნაძე

დირექტორი



თარიღი: 24.06.2025 წ.